

## **საქართველოში დასაქმებულთა მიერ შექმნილ გამოგონებასა და დიზაინზე უფლებათა მფლობელობის შესახებ**

წინამდებარე სტატიაში გაშუქებული პრობლემების საზოგადოების წინაშე წარმოჩენა გადაგვაწყვეტინა 2010 წელს საქართველოს საპატენტო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონებში ცვლილებების შეტანამ, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შელახეს დასაქმებულთა უფლებები, დაეუფლონ საკუთარი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად შექმნილ ნაწარმოებებს, გამოგონებებსა და დიზაინებს. ყველაზე მეტად ამ ცვლილებებმა ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე შემოქმედთა და დიზაინერთა უფლებებზე იმოქმედა და იმდენად, რომ აღარ არის გარანტირებული მათი ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობის კონსტიტუციური მოთხოვნა. ვგულისხმობთ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლს, რომლის თანახმადაც: “ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, ინტელექტუალური საკუთრება ხელშეუვალია”.

ცვლილებების შედეგად ამოქმედებული ნორმები წინა პლანზე მეწარმეთა ინტერესებს წამოსწევს და არა შემოქმედისა. წინამდებარე სტატიის მიზანია საზოგადოებისათვის შექმნილი ვითარების სამართლებრივი ანალიზის შეთავაზება, რათა საკანონმდებლო ინიციატივის მქონე პირთა ყურადღებაც გამახვილდეს აღნიშნული ცვლილებების თანმხლები ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობაზე.

საპატენტო კანონმა განიცადა ძირეული ცვლილება. ერთი მხრივ, აღნიშნული კანონიდან ამოღებულ იქნა “სამრეწველო ნიმუშის” ცნება და ამ უკანასკნელის დასაცავად შემოიღეს ახალი კანონი “დიზაინის შესახებ”<sup>1</sup>. მეორე მხრივ, მას დაემატა ახალი ნორმები, რომლებმაც საქართველოს საპატენტო სამართალში დღემდე აუსახავი ინსტიტუტები შემოიტანა. ზოგადად, ასეთი ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ სხვა კუთხით ის სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს.

ვუთმობთ რა ძირითად ყურადღებას შემოქმედ ავტორთა, გამომგონებელთა და დიზაინერთა უფლებებს, დასახული მიზნის წარმოჩენას დავიწყებთ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საპატენტო და დიზაინის შესახებ საქართველოს კანონების ნორმების ანალიზით.

**საავტორო და მომიჯნავე უფლებების მომწესრიგებელი ნორმები** საქართველოში შემოღებულია 1997 წელს. სამოქალაქო კოდექსში მათთვის სპეციალურად იქნა გამოყოფილი IV წიგნი - “ინტელექტუალური საკუთრების სამართალი”, რომელშიც საავტორო სამართალი 1017 - 1099 მუხლებით სრულად იქნა წარმოდგენილი. ორი წლის შემდეგ იგი სამოქალაქო კოდექსს გამოეყო და სანაცვლოდ ძალაში შევიდა 1999 წლის კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომელიც 2005 და 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით მოქმედებს ამჟამადაც.

1997 წელს დასაქმებულთა მიერ საავტორო უფლებების ფლობას ეხებოდა 1042-ე მუხლი. ეს ნორმა ნაშრომებში ჩვენ ადრე უკვე გავაკრიტიკეთ, რადგან იგი ინტელექტუალური საკუთრების მოდელური კანონის კვალობაზე იყო შედგენილი, ხოლო პირველი და მეორე პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რადგან სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის პრინციპებს ეყრდნობოდა [11, 31-32].

---

<sup>1</sup> aRsaniSnavia, rom dizainerTa Semoqmedebis nayofis aRmiSvneli adrindeli cneba “samrewvelo nimuSi” Seicvala “dizainiT”, rac, vfqrobT gamarTlebulia, radgan ufro farTod da zustad gamoxatavs dasacavi obieqtis arss.

1999 წელს კანონმა მე-16 მუხლით არსობრივად გაიმეორა სამოქალაქო სამართლისეული ნორმა, რაც ასევე ჩვენი კრიტიკის საგანს შეადგენდა [1]. 2005 წელს სხვებთან ერთად შეიცვალა აღნიშნული ნორმაც, მუხლი ჩამოყალიბდა გაცილებით უკეთესი და სავსებით მისაღები რედაქციით, თუმცა ხარვეზები მაინც დარჩა [2, 81]. 2010 წელს მუხლი კვლავ შეიცვალა ისე, რომ პირველ პუნქტში არსობრივი ცვლილება არ მომხდარა; მუხლს მოაცილეს მე-2 - მე-5 პუნქტები, რამაც ის მკვეთრად გააუარესა. ამ მუხლების ამოღებით ავტორებს გაუქრა შესაძლებლობა უკან დაიბრუნონ დამსაქმებელზე კანონისმიერი ცესიით გადასული საავტორო უფლებები. მათი დაბრუნების შესაძლებლობა ავტორებს ჰქონდათ ორ შემთხვევაში: 5 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში; 3 წლის გასვლის შემდეგ, თუ დამსაქმებელი ამ დროის განმავლობაში არ გამოიყენებდა ნაწარმოებს. ეს ნორმები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იყო და მათი ამოღება არაფრით გახლდათ დასაბუთებული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებებით საქართველოს საავტორო სამართალი ერთგვარად ევროპის საავტორო სამართალსაც დაშორდა.

სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ცვლილებები შეეხო საქართველოს საავტორო სამართლის კიდევ ერთ შემოქმედ სუბიექტს - შემსრულებელს, შეიცვალა 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი. ეს ცვლილება მხოლოდ რედაქციული ხასიათის იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტორთა უფლებების დაუფლების განმსაზღვრელი მე-16 მუხლის პირველი პუნქტი და 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი 2010 წელს არსობრივად არ შეცვლილა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საავტორო სამართალი კვლავ ეფუძნება შემოქმედის მიერ დასაბამიდან უფლებების დაუფლების საყოველთაოდ აღიარებულ წესს. ამიტომ 2010 წელს შეტანილი ცვლილების მიუხედავად, მფლობელობის საკითხი დამახინჯების გარეშეა გადაწყვეტილი.

როგორც ვხედავთ, განხილულული კუთხით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით სწორადაა დაბალანსებული დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მიერ უფლებების ფლობის საკითხი. თუმცა, იგი გამოსწორებას მაინც მოითხოვს - მას უნდა დაუბრუნდეს მე-16 მუხლის მე-2 - მე-5 პუნქტები.

**განსახილველი კუთხით საპატენტო კანონის ცვლილებასა და დიზაინის ახალი კანონის მიმართ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე.**

როგორც აღვნიშნეთ, *საპატენტო კანონი კონცეფტუალურად გადამუშავდა და ძირეულად შეიცვალა*. ნორმების ცვლილების გარდა, საპატენტო კანონში ახალი, მათ შორის, ინსტიტუციონალური ნორმები შევიდა, კერძოდ, პატენტის დაგირავების, სამედიცინო პროდუქტის პატენტის მოქმედების ვადის გახანგრძლივების, საგამომგონებლო დონის ex-officio შეფასების, სასარგებლო მოდელის განმსაზღვრელი და ახალი კრიტერიუმის დამდგენი, აგრეთვე, სხვა ახალი, ძირითადად პროცედურულ ნორმები. გარდა აღნიშნულისა, საპატენტო კანონს მოაკლდა და საერთოდ გაუქმდა შემოტანილი პატენტის ინსტიტუტი.

კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ამგვარი ცვლილებები დადებითი ხასიათისაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2010 წლის მდგომარეობით საქართველოს სამრეწველო საკუთრების სამართალი დაუბრუნდა 1992 წელს გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულებების ამოქმედებით შექმნილ ვითარებას, როდესაც ტექნოლოგიური შემოქმედების შედეგი (გამოგონება; სასარგებლო მოდელი) საპატენტო კანონს იყო მიკუთვნებული, ხოლო მხატვრულ-ტექნოლოგიური შემოქმედებისა (სამრეწველო ნიმუში, ანუ დიზაინი) ცალკე აქტის განმგებლობას. შედეგად ეროვნული საპატენტო კანონი და დიზაინის შესახებ კანონი ერთგვაროვან თეორიულ საწყისებს დაეფუძნა და სისტემურად ევროპის სამართალს მნიშვნელოვნად დაუახლოვდა.

საპატენტო კანონის ცვლილებასთან დაკავშირებული მოკლე ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ყურადღებას კვლავ დასაქმებულთა შემოქმედების შედეგზე მფლობელობის საკითხზე გადავიტანთ.

პრობლემას გამოგონების შესახებ 1992 წლის დებულებისა და 1999 წლის საპატენტო კანონის შესაბამისი ნორმების განხილვით გავაშუქებთ 2010 წლის ცვლილების შემდეგ ამოქმედებულ საპატენტო კანონის ნორმასთან შედარების ფონზე. სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულებასა და დიზაინის შესახებ კანონის ნორმები საპატენტო აქტების ნორმების გამოვლენა, რის გამოც ცალკე განხილვას არ მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის 1302 დადგენილებით დამტკიცებული გამოგონების შესახებ დებულების მე-19 მუხლი გამოგონების პატენტის მფლობელად გამომგონებელს მიიჩნევდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოგონება სამსახურებრივი დავალების შესრულებას უკავშირდებოდა. ამ შემთხვევაში დამსაქმებელს პრიორიტეტის თარიღიდანვე ეძლეოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა გამოგონება მარტივი ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო, თუ გამომგონებელი პატენტის გასხვისებას დააპირებდა მას უპირატესი შესყიდვის უფლება ეძლეოდა. როგორც ვხედავთ, პატენტის ფლობის უპირატესობა ნამდვილ შემოქმედს - გამომგონებელს ჰქონდა. მაგრამ არც დამსაქმებლის ინტერესი იყო უგულვებელყოფილი, იგი ხდებოდა პატენტის მფლობელი მაშინ, როდესაც დასაქმებული იყო დაკავებული უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობით [10, 60]. ასეთი შემთხვევისათვის ნორმა ითვალისწინებდა გამომგონებლის უფლებას მიეღო იმ წვლილის ფარდი გასამრჯელო, რაც გამოგონებას შეჰქონდა დამსაქმებლის შემოსავალში. თავად გასამრჯელოს ოდენობა უნდა დადგენილიყო ამ ორ სუბიექტს შორის შეთანხმებით.

განხილული ნორმის მთავარი ნაკლი იყო იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ რა სამსახურებრივი ფუნქციებით დატვირთული დასაქმებული უნდა მიჩნეულიყო “უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობის შესასრულებლად დაქირავებულად”. გარდა ამისა, არ იყო ცალსახა, ვრცელდებოდა თუ არა ნორმა დაკვეთის შედეგად წარმოქმნილ ურთიერთობებზე, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როცა დამკვეთად სახელმწიფო გამოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა მიერ გამოგონების შექმნის შემთხვევაში პატენტის მფლობელობის საკითხი მეცნიერული შესწავლის საგანი იყო საქართველოში და 1999 წლისათვის უკვე ჩამოყალიბდა დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, თუ რა სახე უნდა ჰქონოდა ნორმას, რომელიც დამსაქმებლისა და გამომგონებლის ინტერესებს გაითვალისწინებდა და შესაბამისი იქნებოდა საერთაშორისოდ მიღებული წესისა.

პრობლემის შესწავლას სათავეში გამოჩენილი ქართველი ცივილისტი სერგო ჯორბენაძე ჩაუდგა და 1995 წელს მისი ხელმძღვანელობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ქართველი პროფესორის ბესარიონ ზოიძისა და პროფესორის მარიკა ცისკაძის ოპონირებით შედგა დისერტაციის დაცვა თემაზე: “სამსახურებრივი გამოგონების დაცვა საპატენტო კანონმდებლობით” [9]. დისერტაციაზე მუშაობისას გამოქვეყნდა ორი სტატია, რომლებიც უშუალოდ პატენტის მფლობელი სუბიექტის გამოკვლევას ისახავდა მიზნად [3]. საკითხის შესწავლა გაგრძელდა შემდეგ წლებშიც, რაც აისახა რამდენიმე ახალ პუბლიკაციაში, მათ შორის, უცხო ენებზე [16]; [8]; [17]. გარდა სტატიებისა, საკითხი განხილული იყო საპატენტო სამართლის ამსახველ წიგნებში [5]. როგორც ვხედავთ, პრობლემის შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო და 1999 წლისთვის საქართველოს საპატენტო კანონის მიღებისათვის პრობლემის გადაჭრის ნორმატიული გზები მეცნიერულად დამუშავებული იყო. შედეგად, საპატენტო კანონში დასაქმებულის მიერ შექმნილი გამოგონების მფლობელობის საკითხი თანამედროვე თეორიული მიმართულებებისა და საფუძვლების გათვალისწინებით გადაწყდა. 1999 წლის კანონის მე-20 მუხლის ტექსტი შემდეგი იყო:

“1. მუშაკის მიერ შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის

სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ პატენტი სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მაშინ მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მიიღოს გამოგონების გამოყენების ფარდი გასამრჯელო.

2. თუ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შექმნა დაკავშირებული არ არის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის მუშაკს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემს განაცხადის შეტანის დღიდან ეკუთვნის ლიცენზიისა და პატენტის შესყიდვის უპირატესი უფლება”.

ამ მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფო დაკვეთას ეხება და ახალი წესი არ შემოაქვს.

მუხლის გააზრებისას ნებისმიერი მკვლევარი შენიშნავს, რომ პრინციპი “შემოქმედს ეკუთვნის უპირატესობა” ურღვევია, რასაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის განსაზღვრისას მყარად მისდევს თანამედროვე ხანაში ნებისმიერი სამართლებრივი ოჯახის მიმდევარი ქვეყანა.

მართალია, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებულ ზემოთ მითითებულ ქართულ ლიტერატურას, მაგრამ, თვალსაჩინოებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ ვითარებას მოკლედ მაინც გავაშუქებთ. შემოვიფარგლებით ამერიკელი მკვლევარისა და პრაქტიკოსის პიტერ როზენბერგის მიერ გამოთქმული მოსაზრებების წარმოდგენით ცნობილი ნაშრომიდან, რომელშიც აშშ საპატენტო სამართლის საფუძვლებია გადმოცემული. ნაშრომის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პატენტის ფლობის საკითხს წყვეტენ ამერიკის შტატების სასამართლოები, მათი გადაწყვეტილებები გამოირჩევა გასაოცარი ერთგვაროვანებით და ემორჩილება გარკვეულ წესებს, კერძოდ: “1) თუ დამქირავებელსა და მის მუშაკს შორის არსებობს შეთანხმება შექმნილ გამოგონებებთან დაკავშირებით, მაშინ ამ გამოგონებაზე საკუთრების უფლების მფლობელობა განისაზღვრება ამ შეთანხმებით.

დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთრების უფლების ფლობა გამოგონებაზე, რომელიც მისმა თანამშრომელმა შექმნა, თუ შრომის ხელშეკრულებაში:

- a) პირდაპირი მითითება არსებობს მუშაკის მიერ შექმნილი გამოგონების დამქირავებლისათვის გადაცემაზე,
- b) არსებობს დათქმა, რომ მუშაკი იყო დაქირავებული კონკრეტული გამოგონების შექმნისათვის ან კონკრეტული პრობლემის (იგულისხმება ტექნოლოგიური საგამომგონებლო პრობლემა)<sup>2</sup> გადაჭრაზე მუშაობისათვის.”

2. მუშაკის მიერ შექმნილი გამოგონებების კუთვნილებასთან დაკავშირებული შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში დამქირავებელსა და მუშაკს შორის, ისინი მუშაკის საკუთრებად ითვლება. ამასთან, დამქირავებელს აქვს მარტივი ლიცენზიის მიღების უფლება ისეთ გამოგონებაზე, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია აწარმოოს და გამოიყენოს დაპატენტებული ობიექტი, თუ მან გარკვეული წვლილი შეიტანა გამოგონების შექმნაში. ასეთ წვლილად ითვლება მუშაკის მიერ გამოგონების შექმნა სამუშაო დროის განმავლობაში და (ან) დამქირავებლის დანადგარებისა და მასალების გამოყენება. მითითებული მარტივი ლიცენზია დამქირავებლის “საამქროს უფლებადაა” ცნობილი.”

უნდა ითქვას, რომ ციტირებული წესები პრეცედენტების მიხედვით დამკვიდრდა. გამომგონებლის სასარგებლოდ წყდება ყველა დავა, სადაც კი პირდაპირ არ ირკვევა დამქირავებლის წვლილი ან სახელშეკრულებო ვალდებულება გამოგონების მისთვის გადაცემის თაობაზე. ამ მიმართებით

---

<sup>2</sup> SeniSvna am statii avtorisaa

როზენბერგი ასკვნის: “სასამართლოები უხალისოდ უჭერენ მხარს დამქირავებლისა და გამომგონებლის შეთანხმების ვარაუდს გამომგონების გადაცემასთან დაკავშირებით...” შემდეგ აგრძელებს: “თუ ხელშეკრულება არ შეიცავს მუშაკის მიერ შექმნილი გამომგონების გადაცემის შესახებ პირდაპირ მითითებას, მაშინ დამქირავებელი იქნება უფლებამოსილი დაისაკუთროს აღნიშნული გამომგონება, თუ დაამტკიცებს, რომ მუშაკი ამ გამომგონების შესაქმნელად იყო მიღებული სამსახურში, ან, სხვა სიტყვებით, დამქირავებელი ვალდებულია აჩვენოს, რომ გამომგონება მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობებისაგან განუყრელია” [15, 218-220].

იგივე აზრია გატარებული სხვა ამერიკელი მეცნიერების უფრო გვიანდელ ნაშრომებშიც [13, 250-251], ანუ საკითხი გარკვეულია იმ მიმართულებით, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ და ეს ვითარება არამარტო ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მსოფლიოს სხვა დანარჩენი ქვეყნებისთვისაც განურჩევლად იმისა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არიან ისინი თუ ეკონომიკურად ჩამორჩენილები. აქაც, თუ გამომგონებელსა და დამსაქმებელს შორის ხელშეკრულება გამომგონების კუთვნილების თაობაზე არ დადებულია, უპირატესობა გამომგონებელს, ანუ შემქმნელს ენიჭება. დამსაქმებელს მხოლოდ მაშინ ეძლევა გამომგონების დასაკუთრების უფლება, როდესაც უპირობოდ მტკიცდება რომ დასაქმებულს საგამომგონებლო მისია ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, თუ შრომის ან სხვა ხელშეკრულება არსებობს, რომელიც გამომგონებაზე უფლებების გადაცემას ითვალისწინებს, მაშინ გამომგონების მესაკუთრე სუბიექტი ხელშეკრულების პირობებით განისაზღვრება.

ძირითადი ყურადღება ამერიკის სამართალზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მას ყველაზე მეტი პატივით ეპყრობიან და იქნებ წინამდებარე სტატიაში წარმოჩენილმა აზრმა იმის შესახებ, რომ დასაქმებულთა მიერ შექმნილი გამომგონების მფლობელობასთან დაკავშირებული ნორმა აუცილებლად მოითხოვს შეცვლას, მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს, ვინაიდან არსებული რედაქციით ეს ნორმა ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

მივმართოთ უშუალოდ საქართველოს საპატენტო კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც ადგენს: “თუ გამომგონების შექმნა არ უკავშირდება დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, მაგრამ დასაქმებულმა/შეკვეთის მიმღებმა გამომგონების შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/შემკვეთის მფლობელობაში არსებული რესურსი, პატენტის მიღების უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს...”. როგორც ვხედავთ, დამსაქმებელს ყოველთვის, ანუ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამომგონების შექმნა არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, შეეძლება დაისაკუთროს თავისი მუშაკის გამომგონება და საამისოდ საკმარისი იქნება დაამტკიცოს, რომ მის მფლობელობაში არსებული კალმისტარი, ქაღალდი, კომპიუტერი ან სხვა სახის “რესურსი” გამოყენებული იყო გამომგონების შექმნის დროს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირებს პატენტის მფლობელის განსაზღვრას მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი. ერთი შეხედვით, პრობლემის გადაწყვეტის სწორი გეზია აღებული, მაგრამ ზემოთ მოტანილ თეორიულ საფუძვლებს ის სრულად მაინც არ ითვალისწინებს. კერძოდ, არ არის მოცემული მექანიზმი, როგორ უნდა გაირკვეს, უკავშირდება თუ არა გამომგონების შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. შედეგად, შეიძლება მცდარმა შეხედულებებმა იჩინოს თავი და დავაც უკუღმართად გადაწყდეს. მაგალითად, როგორ გადაწყდება პატენტის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავა, თუ მუშაკი მძღოლია და მან გამომგონება სამსახურში ყოფნის დროს შექმნა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელის განკარგულებას ელოდებოდა, ან, თუ ის ეკონომისტია და დამსაქმებლის საქმიანობის თემატიკის ჩარჩოებში შექმნა გამომგონება სამსახურიდან თავისუფალ დროს, ან, თუ ის ინჟინერია, მაგრამ სრულიად სხვა თემატიკასთან დაკავშირებული გამომგონება შექმნა ამავე ვითარებაში?

ვფიქრობთ, ვითარება რომ გამოსწორდეს, სულ მცირე, დღეისათვის მოქმედი ნორმა დამატებით უნდა დაიტვირთოს იმ აზრით, რომ გამომგონების შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდება მაშინ, როდესაც ცხადად ირკვევა, რომ ამ მოვალეობის შესრულების შედეგად დამსაქმე-

ბელი მოელის გამოგონების შექმნას და, რომ დასაქმებული გამოგონებას ქმნის იმ თემატიკის ჩარჩოებში, რომელსაც ის ამუშავებს.

ასეთივე ვითარებაა დიზაინის შესახებ კანონთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია 2010 წლის ცვლილებების შედეგად შექმნილი სამართლებრივი ვითარება გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ვერ დააკმაყოფილებს ევროპის გაერთიანების წინაშე აღებულ ვალდებულებებს მის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

ახალი ცვლილებების გაკეთება სასარგებლო იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ გამოსწორდება მრავალი ხარვეზი, რომლებმაც თავი იჩინეს 2010 წელს, განსაკუთრებით საპატენტო და დიზაინის შესახებ კანონებში ცვლილებების დაჩქარებულად განხორციელების შედეგად. ამასთან, სპეციფიკურობის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება შეთავაზებულ ცვლილებებს გაეცნოს და გამოეხმაუროს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტები, მათ შორის, კარგი იქნება, თუ ინიციატივას სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული ჯგუფიც გამოიჩენს, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ დარგის პრაქტიკოსები.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ძამუკაშვილი დ., შენგელია რ., ჯორბენაძე ს., გაბუნია დ., ხრუსტალი ვ. 2003. *საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი*. თბილისი: მაცნე.
2. ძამუკაშვილი დ. 2006. *ინტელექტუალური საკუთრების სამართალი*. თბილისი: ინტელექტი.
3. ძამუკაშვილი დ. 1992. საპატენტო კანონმდებლობა და სამსახურებრივი გამოგონების დაცვა, *სამართალი*, 13.
4. ძამუკაშვილი დ. 1995. ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი სამსახურებრივ გამოგონებაზე. *სამართალი* 12-3.
5. ძამუკაშვილი დ. 1997. *სამრეწველო საკუთრება. გამოგონება, სასარგებლო მოდეელი, სამრეწველო ნიმუში*. თბილისი: გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური ფონდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიგრაფიული საწარმო.
6. ძამუკაშვილი დ., ჯორბენაძე ს., გაბუნია დ., ჭიკაძე ზ., კვიციანი მ. 2001. *ინტელექტუალური საკუთრების სამართალი*. ლექციათა კურსი. თბილისი: ბონა-კაუზა.
7. ძამუკაშვილი დ. 2003 *საქართველოს საპატენტო კანონის კომენტარი*. თბილისი: სანი.
8. ძამუკაშვილი დ. 1996. საქართველოში სამრეწველო საკუთრების დაცვის ზოგიერთი საკითხი. *სერგო ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა საიუბილეო კრებული*.
9. ძამუკაშვილი დ. 1995. *სამსახურებრივი გამოგონების დაცვა საპატენტო კანონმდებლობით*. სადისერტაციო მაცნე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
10. დებულება გამოგონების შესახებ, ოფიციალურ ტექსტი, გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა 1992 წლის მარტი - აპრილის 12 კრებულში, გვ.60.
11. Georgian Law on Author's Rights and Neighbouring Rights, by David Dzamukashvili, Roman Shengelia, Sandro Jorbenadze, Tbilisi, "Intelekti Publisher" 2005, pp 31-32.
12. Dzamukashvili D. The Ownership of an Employee's Invention, Patent World, London, October, 1996;
13. Fundamentals of United States Intellectual Property Law: Copyright, Patent, and Trademark by Sheldon W. Holpern, Craig Allen Nard, Kenneth L. Port, The Hague, London, Boston, 1999, "Kluwer Law International", pp 250-251.
14. Dzamukashvili D. New Georgian Legislation on Protection of Authors Rights and Neighbouring Rights, in Copyright Bulletin, UNESCO, 2000.

15. Питер Розенберг, Основы патентного права США, Москва, «Прогресс», 1979, с.218-220.
16. Дзамукашвили Д. Экспертиза. Грузинский вариант, журн. Инт. собственность, М., 1996, №5-6;
17. Охрана ОИС по новому законодательству Грузии. журн. Инт. собственность, М., 1999, №4.

*David Dzamukashvili,  
Grigol Robakidze University*

## **Notes on Ownership of Rights to Inventions and Designs Created by Employees in Accordance to Industrial Property Law of Georgia**

### **Summary**

Presentation of this article to the public is caused by the reform of Intellectual Property Law of Georgia made in 2010, during of which significant amendments were included in Acts which constitute the mentioned branch of Georgian Law. In our opinion, these amendments impair rights of employees concerning the ownership of intellectual creations. This situation applies mostly to the employees engaged in technological fields of industry: inventors and designers. Rights of these categories of employees are impaired in such level that we can say that the existence of constitutional guarantees on safety of Intellectual Property is under doubt. We mean Article 23 of Constitution according to which: "Intellectual creativity is guaranteed. Intellectual Property is ensured".

Norms enacted after the amendments give preferences to interests of employers and not of creators.

The aim of this article is to present legal analysis of the problems caused by enactment of the amended laws and to draw the attention of persons having legislative initiative to these problems.

The large scale of the amendments was made in the Patent Law after the approval of which industrial designs are no more subjects of its norms.

Now we draw our attention to inventors' and designers' rights.

After the amendments in the Patent law designs are protected by the new Act – Georgian Law of Designs. As a result, on the basis of Patent Law two independent laws are in force in Georgia: subjects of the Patent Law now are only technological creations - inventions and utility models; accordingly, subject of Designs Law is a result of designers' creativity – appearance of products. From this angle, the legislation of Georgia reseted the first legislative Acts of Georgia (passed in 1992) adopted in the field of industrial property since its independency. At the same time, Intellectual Property Law of Georgia now is harmonized better with the European Intellectual Property legislation than Intellectual Property Law enacted in 1999.

It should be mentioned together with positive amendments, negative amendments are also made in both laws – Law on Patents and Law on Designs from the point of view of inventors and designers, as same norms concerning the ownership of patent and design rights were included in them.

To realize the situation in which employed or contracted inventors and designers are set, it is enough to consider respective norms of the Patent Law. The Articles 19(5) and 19(6) of the Patent Law concern the ownership of a patent subject of which an invention is connected with employment or commission relations. It

is not clear from the Article 19(5) how to determine when an invention is connected with execution of obligations and when is not connected.

The situation is worse in case of the Article 19(6) which states that an employer should have the right to own a patent in any case even when the creation of an invention does not have any connection with execution of duties by an employee or with execution of contractual obligations. The only condition set down in the mentioned article is that the invention should be created by using employers' recourses. How to determine what meaning the legislator wanted to be understood under the term "recourse"? – **it is so broad that anything, including piece of sheet which was used by an inventor during the creative process is enough to make a decision that right on invention should belong to employer.** Even more, the result is the same - if criterion of an invention is not connected with execution of duties, it seems that it is enough simply to be employed to come to the mentioned decision. Also the employer should be an owner of a patent when an invention created by an employee is out of activities of an employer.

This Article contradicts the principles of determination of ownership when the subject of ownership is intellectual creation, especially if the case concerns an invention. Usually, courts have elaborated principles or their decisions are supported by the principle elaborated by scientists. For example, courts of the USA support their decisions on precedential principles and these decisions are very similar if not uniform. The main sense of these principles could be formulated as follows: "A creator should be treated as an owner of his/her creations because of the mere fact of creation and if there are other written contractual relations, ownership could be transferred by contractual obligations or by Law".

According to the principle of the notorious American scientist in Law Peter Rosenberg, which takes into consideration the courts in the USA, an employer has the right to own a patent on an invention in case when an inventor is the employee if:

- a) there is an explicit reference in the contract to transfer ownership on a patent;
- b) there is a clause in the contract that an inventor is employed for creating an invention;
- c) there is clause in the contract that an inventor is employed for performing his/her duties or solving concrete technological problems.

If we summarize the above mentioned, it is evident that if there are not contractual duties or if a technological problem is out of an employee's duties, the owner of a patent is a creator and an employer. Unfortunately, this wide spread principle is declined after the enactment of the amended Patent Law and Designs Law in Georgia.

It is noteworthy that the Law on Author's Rights and Neighboring Rights of Georgia was also amended at this period, but the former principle of determination of ownership of rights on creation made by employees, which is in conformity with the above mentioned wide spread principles, is not changed and the situation is better than the situation mentioned in connection with patents and designs. Though by withdrawal of Art 16(2)-(5) from the law author lost right to restore authors rights on his creation if an employee does not use a work of creation during 3 years or if 5 years are expired as it was a case in accordance to the article before its amendment.

In accordance to the opinion of the author of this article remedy the defects mentioned in the article is needed not only from point of view of satisfaction to established precedential and scientific principles but also from point of view of harmonization Georgian Intellectual Property legislation to the European norms. All this enables to avoid malicious abuse of creator's rights from employer's side.

If briefly summarize above mentioned amendments of made in Georgian Industrial Property Law which constitutes large part of Intellectual Property Law in a whole it is to be mentioned, that this amendments are so significant that establish legal situation which reflects trends of harmonization to modern requirements and



of development of laws concerning to patents and designs. At the same time, it should be noted that the system of the Industrial Property Law of Georgia turned back to 1992 situation when the independent legal acts – Governmental degrees on inventions, on industrial designs and on trade marks were separately approved and enforced. Now designs are protected by the separate legal act in which the principles of the law of author's rights and patent law are reflected. From this angle the Industrial Property Law of Georgia is much more harmonized with the European Law when 1999 Laws were.

On the other hand, the new Designs Law does not ensure protection of many kinds of designs which do not satisfy the requirements of registration and the so called “non-registered designs”, which are out of scope of protection of the Designs Law or the Law of Author's Rights, are not protected in Georgia at all (as it is known, Law on competition and anti - monopoly practices was abrogated in Georgia since 2006). Now sui generis legal norms regulating unfair competition in Georgia do not exist any more. To improve the situation the enactment of at least separate law on protection of non-registered designs which should be based on widely recognized modern principles of competition law is strongly needed.